ერთი შენობა და მისი ორი ფუნქცია

სავარჯიშოს მიზანია კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება.

რესურსის ავტორი: თათია ბარბაქაძე

შესავალი: 1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, საქართველოში საკანონმდებლო ორგანო - ეროვნული საბჭო, მოქმედებდა, რომელიც მთავრობის ფუნქციასაც ასრულებდა. ეროვნული საბჭოს დაქვემდებარებაში ფუნქციონირება დაიწყო ხელოვნების სექციამ[1], რომლის მიზანიც ქვეყნაში ხელოვნების ყველა დარგის განვითარება იყო.

დავალების პირობა: 1918 წლის 2 თებერვალს ხელოვნების სექციის სხდომაზე[2] მეტეხის ციხისთვის ფუნქციის შეცვლა გადაწყდა. თავდაპირველად, სექციის წევრების თანხმობით, შენობის შესაფასებლად ინჟინერთან ერთად დიმიტრი შევარდნაძე, იაკობ ნიკოლაძე და სვიმონ კლდიაშვილი მიავლინეს. მათი პროფესიონალური აზრი მნიშვნელოვანი იყო შენობის არქიტექტურული გადაწყვეტისა და დანიშნულების ცვლილების შესახებ. მოგვიანებით, 1933 წელს, მეტეხის სატუსაღომ ფუნქცია, მართლაც, რადიკალურად შეიცვალა.

დავალება: იმსჯელეთ არგუმენტირებულად, გამოთქვით ვარაუდები. გამოიცანით მეტეხის სატუსაღოს შეცვლილი ფუნქცია.

მინიშნება: შენობის ფუნქციის ცვლილება 1920 წელს დაარსებულ ეროვნულ გალერეას უკავშირდება.

---

[1] სექცია - რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების განყოფილება
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=36629

[2] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, დამფუძნებელი კრების საქმე, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 425, ფურცელი 9 და 10

სამუშაო ფურცელი

მასწავლებლის მითითებისა და მოცემული გონებრივი რუკის მიხედვით შეასრულეთ დავალება.

გონებრივი რუკა